Identity and Nation-Building in Everyday Post-Socialist Life. Ed. By Abel Polece, Jeremy Morris, Emilia Pawlusz and Oleksandra Seliverstova. Routledge Taylor&Francis Group. London and New York, 2018.

Introduction: on informal and spontaneous national identities, p. 1-14

2014 წლის მარტში, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდეგ, ორმა აქტივისტმა წამოიწყო სამოქალაქო მოძრაობა, რომელიც ჯერ ადგილობრივ, შემდეგ ნაციონალურ დონეზე რუსული პროდუქციის მოხმარებაზე მკაცრი უარის სახით გამოიხატა. ამის ხელშესახები შედეგი ეკონომიკური იყო, მაგრამ ამავე დროს იყო გზა უკრაინელებისათვის, გამოეხატათ პატრიოტიზმი და საკუთარი ქვეყნისადმი დამოკიდებულება. ეს იყო წარმოსახვითი საზოგადოების აფექტური მოძრაობა, რომლის შედეგად ეს საზოგადოება უფრო 'რეალური' გახდა.

ეს ბოიკოტი შეიძლება შეფასდეს როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოსადმი ლოიალურობის აქტი, რომელსაც განსაზღვრავენ როგორც 'მომხმარებლურ მოქალაქეობას - ნაციონალური იდენტობის შექმნას გაზიარებული სამომხმარებლო პრაქტიკის გზით'. მტრის იდენტიფიკაცია ხშირად არის მთავარი ნაბიჯი ნაციონალური იდენტობის კონსტრუირების გზაზე. (1) ჩვეულებრივი სამომხმარებლო პრაქტიკის გზით ჩვეულებრივი ხალხი იძენს მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს ნაციონალურ კონსოლიდაციაში კრიტიკულ დროს. (2)

ჩვენ ყოველდღიურად დავდივართ სამსახურში, ვყიდულობთ საკვებს, ვხვდებით მეგობრებს, ვუყურებთ ფილმებს, ვკითხულობთ წიგნებს. ჩვენი არჩევანის საფუძველი ყოველთვის რაციონალური არ არის. ჩვენ შეიძლება ავირჩიოთ პროდუქტი ან ადგილი იმიტომ, რომ ისინი ჩვენი ბავშვობის მეხსიერებას უკავშირდება. მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ეს არჩევანი განპირობებულია ჩვენი იდენტობით, კულტურული საფუძვლით, ბანალური პრაქტიკების გზით მიღებული მესიჯებით. მაგრამ ეს მესიჯები ავტომატურად აღიარებული არ არის. ადამიანებს შეუძლიათ იდენტობის კონსტრუირება ქვემოდან ზემოთ, რასაც ერიქსენი არაფორმალურ ნაციონალიზმს უწოდებს. (2)

ბილიგის „ბანალური ნაციონალიზმიდან" (1995) მოყოლებული, მეცნიერების საგანგებო ინტერესის საგნად იქცა სახელმწიფოს ან პოლიტიკური ელიტის შესაძლებლობა, ყოველდღიური პრაქტიკით, ყოველდღიური მოქმედებით ჩამოაყალიბოს ან გავლენა მოახდინოს ნაციონალურ იდენტობაზე. პოლიტიკური ნარატივები ხორციელდება არა მხოლოდ ნაციის მშენებლობის ფორმალური ან ტრადიციული ინსტრუმენტების (მაგ., სასკოლო პოლიტიკა) გამოყენებით; მათი დანერგვა ასევე ხდება ფარული, გაუცნობიერებელი მექანიზმებით. ამ წიგნში შემოთავაზებული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს სხვა, არა პოლიტიკური ელიტების მიერ შემოთავაზებულ ფენომენებზე, რომელთა აღსანიშნავად შემოთავაზებულია ტერმინი 'სპონტანური ნაციამშენებლობა'. იგი გულისხმობს ნაციონალური იდენტობის კონსტრუირებას ხალხის ან ხალხის ორგანიზაციების მიერ - მაგალითად, სიმღერების, ცეკვების, ხელოვნების მეშვეობით, სახელმწიფო მხრიდან მხარდაჭერის გარეშე; გარდა ამისა, ცენტრალურ დონეზე განხორციელებულ ნაციის მშენებლობისკენ მიმართულ ღონისძიებებს შეიძლება ყოველთვის არ მოჰყვეს სასურველი შედეგი, ასევე, შეიძლება პირიქითაც მოხდეს და იდენტობაზე დიდი გავლენა მოახდინოს იმან, რაც საამისოდ არ იყო განზრახული. (13)

ამ წიგნში იდენტობის ფორმირების პროცესი განხილულია როგორც როგორ ორი მიმართულების ურთიერთქმედება: ელიტების მიერ შეთავაზებული იდენტობის მარკერების და მათზე რეაქციის, ასევე არაფორმალური, ქვემოდან ზემოთ მიმართული ნაბიჯების. არსებობს მთელი რიგი შეუმჩნეველი აქტორები, რომლებიც, სპონტანური და არაფორმალური გზით, მოქმედებენ იდენტობის განსაზღვრის ან ხელახალი განსაზღვრისათვის ისე, როგორც ეს ხალხს 'სურს'. (4)

პროცესი, რომელიც იწყება მცირერიცხოვანი, ქვემოდან ზემოთ მოქმედი აქტორების მიერ, მათი რიცხვის ზრდის შემდეგ, პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს და განსაზღვრავს ამა თუ იმ პოლიტიკის წარმატებას თუ წარუმატებლობას. (4)

საინტერესოა, რა ხდება, როცა სახელმწიფო ან პოლიტიკური ელიტა სთავაზობს იდენტობის მარკერებს, რომლებსაც ლოკალური აქტორები წინააღმდეგობას უწევენ ან არ ეთანხმებიან. როგორც ჩანს, ეს იწვევს ხელშესახებ ცვლილებებს იდენტობის გააზრებას, განხორციელებასა და შემდგომი თაობებისთვის გადაცემაში. (4)

ბილიგის ნაშრომში ყოველდღიური ნაციონალიზმის შესახებ გატარებულია აზრი, რომ ბანალური ნაციონალიზმი შეიძლება განხილულ იქნას როგორც ერთგვარი ჩარჩო დამკვიდრებულ სახელმწიფოებში, განსხვავებით ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სახელმწიფოების 'ცხელი ნაციონალიზმისაგან'.(4) ამ კრებულის ავტორები არ იზიარებენ ამგვარ დაყოფას. მათ ბილიგის მთავარ დამსახურებად მიაჩნიათ ყურადღების გადანაცვლება ცხელი ნაციონალიზმიდან ცივ ანუ ბანალურ ნაციონალიზმზე. თანამედროვე კვლევებში აღნიშნულია, რომ ხალხი არ წარმოადგენს ჰომოგენურ ნაციონალურ აუდიტორიას, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ბანალური ნაციონალიზმის პასიურ მიმღებს, არამედ აღიქვამს და მოიხმარს მას სხვადასხვა სახით, რაც გავლენას ახდენს იდენტობის კონსტრუირებაზე. (5)

ავტორები აღნიშნავენ, რომ შთაგონებული არიან ერიქსენის მიერ აღნიშნული განსხვავებით ფორმალურ და არაფორმალურ ნაციონალიზმს შორის. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფო და არასახელმწიფო ნარატივები მოძრაობენ განსხვავებული, მაგრამ ურთიერთშემავსებელი არხებით და ორივე მონაწილეობს 'ნაციონალურის' კონსტრუირებაში. (5)

ამრიგად, ნაციონალიზმი არ არის 'ზემოდან ქვემოთ' მუშაობის შედეგი, არამედ მასების პრაქტიკა. ამავე დროს, ყოველდღიურობის განზომილება პოსტ-სოციალისტურ სივრცეებში მეტწილად შეუსწავლელია. (6)